

აფხაზეთის ისტორიისათვის ბრძოლა პოსტსტალინიზმის საბჭოთა საქართველოში

BATTLE FOR ABKHAZIAN HISTORY IN THE POST STALINISM GEORGIAN SSR

დავით ჯიშკარიანი

ისტორიკოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

David Jishkariani

Historian, Visiting Lecturer at Ilia State University

Summary

After World War II Joseph Stalin spends his holidays in Sochi, mostly meeting with friends from his childhood and walking in parks. In 1946 he phoned the First Secretary of the Central Committee of the Communist Party of the Georgian SSR Kandid Charkviani and asked him to organize a meeting with two Georgian historians, Simon Janashia and Niko Berdzenishvili. The subject of the discussion should have been a textbook of Georgian History for the secondary schools published in 1943 in the Georgian language. Stalin had read the book in advance and was well prepared for the discussion. He was promoting the Soviet policy of "indigenization" (korenizatsia) and looked at such texts through this lens. Apparently, he wanted the Georgians as the titular nation in the republic to enjoy all the privileges, hence, supporting the policy of Georgianization of the other ethnicities within the republic. That policy caused a protest (mostly hidden, and sometimes even open) of ethnic minorities. One of the first protest letters was sent to Moscow by three young Abkhaz intellectuals in 1947. After the death of Joseph Stalin, the problems in relation of Tbilisi and Sokhumi, the center and periphery, became more profound. The Georgian Soviet nationalistic policy, especially reflected in historiography, helped formatting Abkhazian "reciprocal" nationalism. Control over the national history helped to form rival political groups to struggle for power, i.e. the control of economic and social life.

მეორე მსოფლიო ომის მერე იოსებ სტალინი შვებულებას სოჭში ატარებს, მეტწილად, ხვდება ბავშვობის მეგობრებს და პარკებში სეირნობს. 1946 წელს ის ურეკავს საქართველოს სსრ-ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს და სთხოვს ორ ქართველ ისტორიკოსებთან – სიმონ ჯანაშიასთან და ნიკო ბერძენიშვილთან შეხვედრა დააორგანიზოს. განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო 1943 წელს საშუალო სკოლებისთვის ქართულ ენაზე გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. სტალინს წიგნი წინასწარ ჰქონდა წაკითხული და კარგად იყო მომზადებული დისკუსიისთვის. ის საბჭოთა „კორენიზაციის“ პოლიტიკას უჭერდა მხარს და ამ კუთხით უყურებდა ასეთ ტექსტებს. როგორც ჩანს, მას სურდა, რომ ქართველებს, როგორც ტიტულარულ ერს რესპუბლიკაში, ყველა პრივილეგიით ესარგებლათ, შესაბამისად, მხარს უჭერდა რესპუბლიკის შიგნით არსებული სხვა ჯგუფების გაქართველების პოლიტიკას. ამ პოლიტიკამ გა-

მოიწვია ეთნიკური უმცირესობების პროტესტი (ძირითადად ფარული და ზოგჯერ ღია). ერთ-ერთი პირველი საპროტესტო წერილი მოსკოვს სამმა ახალგაზრდა აფხაზმა ინტელექტუალმა გაუგზავნა 1947 წელს. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ თბილისისა და სოხუმის, ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო გაღრმავდა. ქართული საბჭოთა ნაციონალისტური პოლიტიკამ, განსაკუთრებით ისტორიოგრაფიაში ასახულმა, ხელი შეუწყო აფხაზური „საპასუხო“ ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. ისტორიაზე კონტროლმა ხელი შეუწყო პოლიტიკური ჯგუფების ფორმირებას და ბრძოლას ძალაუფლებისათვის, მაგალითად ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კონტროლისათვის.

შესავალი

1945 წლის შემოდგომაზე, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სტალინი შეეზღუდა სოჭში ატარება. შავი ზღვა, სუბტროპიკული კლიმატი და რბილი ჰავა იდეალურ გარემოს ქმნიდა დასვენებისათვის და წიგნების წასაკითხად. ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის (შემდგომში სკპ) ცენტრალური კომიტეტის (შემდგომში ცკ) პირველ მდივანთან, კანდიდ ჩარკვიანთან, ტელეფონმა დარეკა. ხაზზე იოსებ ბესარიონის ძე იყო. სტალინს ახალი წაკითხული ჰქონდა საქართველოს ისტორიის სკოლის სახელმძღვანელო და წიგნის ავტორებთან, ისტორიკოსებთან, შეხვედრა უნდოდა (ჯავახიშვილი, ჯანაშია და ბერძენიშვილი 1943, 5-6).¹ წიგნი ჯერ კიდევ 1944 წლის დასაწყისში გაუგზავნეს, თუმცა ომის გამო წასაკითხად ვერ მოიცალა. დასვენების დროს კი საფუძვლიანად გაეცნო და „შენიშვნები“ ჰქონდა (ჩარკვიანი 2015, 80-81).² სატელეფონო ზარიდან რამდენიმე დღეში (ბერძენიშვილი 1998, 97)³ ისტორიკოსები ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია, კანდიდ ჩარკვიანთან ერთად მატარებლით სოჭში გაემგზავრებიან.

სტალინი აქტიურობდა ისტორიული საკითხების განხილვისას, გამოთქვამდა მოსაზრებებს, მეცნიერებს ახალ იდეებს სთავაზობდა. განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველთა წარმომავლობის საკითხს. მხარს უჭერდა ვერსიას, რომ „ქართული ტომები წარმოიშვნენ ხეთებისა და სუბარებისაგან – მონათესავე ხალხებისაგან, რომლებმაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში შექმნეს წინა აზიაში მძლავრი

1 1940 წლის სექტემბერში ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა დიდი თათბირი სადაც განხილული იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. დისკუსიის შედეგად 1943 წელს სახელმძღვანელოში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ქართველი ერი სხვადასხვა მოძმე ტომისაგან არის შემდგარი. მთავარი ქართველური ტომები არიან: ქართველი, მეგრულ-ჭანები და სვანები. ეს ტომებიც თავის მხრივ ცალკე თემებად იყოფიან. ქართველი თემები იყვნენ ქართველები, კახელები, ფშავ-ხევსურები, მთიულ მოხვევები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმელები, აჭარლები, მესხები, ჯავახები, შავშები, კლარჯები და სხვები. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წელს.

2 სტალინთან შეხვედრაზე, ისტორიკოსების გარდა, იმყოფებოდა ასევე სტალინის ბავშვობის მეგობარი, ექიმი მიხეილ წინამძღვრიშვილი

3 გამგზავრების თარიღის შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა. კანდიდ ჩარკვიანი გამგზავრების ზუსტ თარიღს არ უთითებს. იგონებს რომ ბელადს უთხრა „ხვალ საღამოს გამოვემგზავრებით და ზევ დილას სოჭში ვიქნებით“ (ჩარკვიანი 2015, 81.) ნიკო ბერძენიშვილი საკუთარ მოგონებებში უფრო კონკრეტულია და დეტალურად იგონებს, რომ 14 ოქტომბერს ამხანაგმა ჩარკვიანმა დაიბარა, ხოლო მატარებლით 19 ოქტომბერს გაემგზავრნენ სოჭში და 20 ოქტომბერს უკვე შეხვდნენ სტალინს.

სახელმწიფოები და მაღალი კულტურა“ (ჩარკვიანი 2015, 85).⁴ მეცნიერებს ურჩევდა, სიტყვა „ქართული“ უფრო მეტად გაფართოებულიყო და ვარიანტად სთავაზობდა „ხეთურ-ქართულ ხალხთა ჯგუფს“ (ხეტსკო-გრუზინსკაია გრუპპა ნაროდოვ) (ბერძენიშვილი 1998, 101); აქტიურად უჭერდა მხარს ქართველთა ჰომოგენიზაციას. ამავე დროს ინტერესდებოდა თბილისში ქართული მოსახლეობის მიგრაციით. შედეგებით უკმაყოფილო იყო: „და მაინც თბილისში ქართველები არ წარმოადგენენ აბსოლუტურ უმრავლესობას“ (იქვე) მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ქართველთა ჩამოსახლება ახალციხის მხარეში (იქვე), რომელმაც სრულად შეცვალა ეთნიკური სურათი თურქეთთან მოსაზღვრე ზოლში. ის აქტიურად უჭერდა მხარს ნაციონალიზაციის პროექტებს. ემხრობოდა ისტორიაში ქართველ მეფეთა ჰეროიზაციას. სწამდა, რომ „ისტორია პატრიოტული უნდა იყოს“ (იქვე, 104).

ისტორიაზე მონოპოლია საბჭოთა სინამდვილეში ხელისუფლებისა და პრივილეგიებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი კაპიტალი იყო. მასზე კონტროლის პრეტენზია არამარტო მოსკოვში მყოფ უმაღლეს ხელისუფალს, არამედ რესპუბლიკურ და რეგიონულ მმართველებსა და ინტელიგენციასაც გააჩნდა. ისინი ამა თუ იმ ტერიტორიაზე ეთნიკური ნიშნით დომინირების ლეგიტიმაციას ცდილობენ ისტორიული ნარატივების ინტერპრეტაციითა და მასზე კონტროლის დამყარებით. მსგავსმა მიდგომებმა ისტორიული მეცნიერება ჩააყენა ეთნიკური დომინანტობისათვის მებრძოლი პოლიტიკის სამსახურში. ისტორიკოსები ნარატივების ბრძოლის ველზე საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ჯარისკაცები ხდებიან. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა აფხაზი და ქართველი ისტორიკოსების დისკუსიებში, რომელთა რიცხვიც განსაკუთრებულად იზრდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ორივე მხარე ცდილობს, რომ აფხაზეთში საკუთარი ეთნიკური დომინირების პრელუდია და ხანგრძლივობა შექმნას. ისტორიული ნარატივები ხდება ექსკლუზიური კუთვნილების საგანი. მიმდინარეობს ბრძოლა „ჭეშმარიტი ისტორიის“ შესაქმნელად.

ამ ნარატივებისათვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა აფხაზური ნაციონალიზმი განსაკუთრებული მახასიათებლით, როგორც რეფლექსია ქართული ნაციონალიზმისა. ის მიდრეკილია მუდმივად ჰქონდეს რეაქცია იმაზე, რაც იწერება თბილისში, რეაგირებს მასზე და ცდილობს ვიქტიმიზაციას მოსკოვის წინაშე. ქართული ნაციონალიზმი კი პირიქით, ხასიათდება დომინირებისაკენ სწრაფვით, რომელიც აპრიორულად მიიჩნევს აფხაზეთს ქართული ერთიანი სივრცის ნაწილად. აფხაზეთში განხორციელებულ ნებისმიერ ღონისძიებას მიიჩნევს, როგორც აუცილებლობით გამოწვეულ ქმედებას. ის ცდილობს განმანათლებლის როლის შესრულებას. ორივე ნაციონალური ნარატივი და მათი მხარდამჭერი პირები იბრძვიან საკუთარი ეთნიკური ჯგუფის პრივილეგიებისათვის კონკრეტულ ტერიტორიაზე.

ყოფილი პოლიტიკური პარტიების არქივში, ძირითადად 14 ფონდში (დღეს უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება), დაცულია ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ინტელიგენციისა და მთავრობის წევრთა აქტიურ კომუნიკაციას წარსულის გააზრების შესახებ. ეს დოკუმენტები მშრალი, ბიუროკრატიული ენით ნაწერი ტექსტებია, რომლებიც მტკიცებითი ტონით ცდილობენ ეთნიკური ისტორიის ერთგვაროვან, „ჭეშმარიტი“ ხედვის გაზიარებას. იგივე დოკუმენტებით ჩანს, რომ წარსულზე კონტროლი, არამარტო ცენტრალურ, მოსკოვის დირექტივას ემორჩილება, არამედ მასზე ლოკალური პოლიტიკური ფაქტორებიც აქტიურად ზემოქმედებს.

⁴ ხეთური წარმომავლობის შესახებ თეორია პოპულარული იყო ქართულ სამეცნიერო წრეებში. 1936 წელს თბილისის უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა ცნობილმა ხეთოლოგმა პროფ. ნ. ბერიძემ.

ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ თბილისსა და სოხუმს, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკის ცენტრსა და მის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის არსებული პერმანენტულ კონფლიქტს წარსულის ინტერპრეტაციაზე, რომელიც ხშირად ღია კონფლიქტითა და მასობრივი დემონსტრაციებით სრულდებოდა. წარსულის აღქმაზე უთანხმოება ხელს უწყობდა ეთნიკური ნიშნით მასების მობილიზაციას და პროტესტს რესპუბლიკის ცენტრის, თბილისის წინააღმდეგ. ქრონოლოგიურ ჩარჩოდ განვსაზღვრეთ 1953-1967 წლები, როდესაც ისტორიულ მეცნიერებაზე დომინაციისათვის ბრძოლა ინტელიგენციისა და პარტიულ-ნომენკლატურულ ელიტებს შორის აქტიურად დაიწყო და ფართო პოლიტიკური განზომილება შეიძინა. ნაციონალურ ისტორიაზე მონოპოლიზაცია პოლიტიკური ელიტებისა და ინტელიგენციის ხელში ხდება მთავარი იარაღი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კაპიტალისათვის ბრძოლაში.

რეფორმა თუ ქართველიზაცია? – აფხაზეთი ლაკობას შემდეგ.

1920-30-იან წლებში აფხაზებს ჰყავდათ საკუთარი ქარიზმატული ლიდერი – ნესტორ ლაკობა. ის აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს იკავებდა, იყო სერგო ორჯონიკიძის კლანის წევრი, რომელიც მოსკოვში კავკასიის მფარველად მიიჩნეოდა. სწორედ ორჯონიკიძე კურირებდა მიმდინარე პოლიტიკურ და საკადრო ცვლილებებს რეგიონში. ისტორიკოსი ტიმოტი ბლაუველტი ამ პერიოდის აფხაზეთის ხელისუფლებას ახასიათებს, როგორც კლიენტალისტურს, რომელიც ძირითადად კონცენტრირებული იყო სწორედ ნესტორ ლაკობას კლანის ირგვლივ (Blauvelt 2014). აღნიშნულ კლანს მკვეთრად გამობატული ეთნიკური სახე ჰქონდა და ის აფხაზებისგან შედგებოდა. აფხაზეთში ლაკობას პოლიტიკური გავლენა ძალიან დიდი იყო და ხუმრობით იმასაც ამბობდნენ, კარგი იქნება, თუ აფხაზეთს სახელს შეუცვლიან და ლაკობასტანს დაარქმევენო (Рихтер 1924, 100). ლაკობას დროს, კორენიზაციის პოლიტიკის შედეგად, რაც ტიტულარული ერების წარმომადგენლობის ზრდას გულისხმობდა, პარტიულ და მმართველობით ორგანოებში აფხაზების ხვედრითი წილი გაიზარდა. 1923 წელს ის 10% იყო, 1926-ში 25.4% გახდა და 1929 წელს 28.3%-ს მიაღწია (Blauvelt 2014, 208). ლაკობა ხელს უწყობდა აფხაზური ფოლკლორის, ლიტერატურის, ისტორიის, ტრადიციული სპორტული სანახაობებისა და სხვა ნაციონალური სიმბოლოების წარმოჩენას.

1936 წლის დეკემბერში ნესტორ ლაკობა თბილისში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. რამდენიმე თვეში აფხაზეთში დაიწყო საჩვენებელი პროცესი მისი კლანის წევრების წინააღმდეგ. ხელისუფლება ცდილობდა, რომ პროცესუალური ნორმები დაცული ყოფილიყო. საზოგადოებრივი ბრალმდებლები იყვნენ მიხეილ დელბა,⁵ მაშინ ჯერ კიდევ სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დირექტორი და შაობ საქანია, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიპშის კოლმეურნეობის წევრი.⁶ პროცესში მონაწილე მოსამართლეები,

5 მიხეილ კონსტანტინეს ძე დელბა (1905-1992) – აფხაზი სახელმწიფო მოღვაწე. 1930-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა „ხალხის მტრების მხილებაში“. აფხაზეთის განათლების მინისტრი (1937-1938), აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1938-1948), აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1948-1953). 1953 წლის შემდეგ გაათავისუფლეს თანამდებობიდან (Анчабадзе и Лакоба 2002).

6 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი II სამმართველო შემდეგში სშსსა II . განსაკუთრებული საქაღმდეგები N10. გვ. 32-36 ; გაზ. კომუნისტი. 4 ნოემბერი, 1937 წ. N 253 (5054) ფ. 2 ; გაზ. კომუ-

პროკურორები და საზოგადოებრივი ბრალმძებლები ეთნიკურად აფხაზები და ქართველები იყვნენ. ხელისუფლება ეთნიკური შემადგენლობის პარიტეტის დაცვას ცდილობდა, ისე რომ პროცესი არც მარტო აფხაზების წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული და არც მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ ბრალმძებელი. აღნიშნულ პროცესზე აქტიურად წერდა პრესა და გადიოდა რადიოგადაცემები.

საჩვენებელი სასამართლო პროცესების გარდა, მასობრივი რეპრესიების დროს, 1937-1938 წლებში ე.წ. კულაკურმა სამეულმა გაასამართლა 454 ეთნიკური აფხაზი (იუნგე, ბონვიჩი და მიულერი 2015, 54). იუნგე და ბონვიჩი აფხაზებისათვის 1937 წელს მიიჩნევენ ნაციონალური ცნობიერების ფორმირების კატალიზატორად. ასევე 1937 წელსვე ხდება აფხაზური ანბანის რეფორმა, როცა ლათინურშრიფტიანი აფხაზური დამწერლობის ჩანაცვლება მოხდა ქართული დამწერლობით. ქართველი მეცნიერები თბილისიდან სოხუმში ჩავიდნენ, რომ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინათ ახალი აფხაზური ანბანი.⁷ აფხაზი ჩინოვნიკები ჩაანაცვლეს ქართველებმა. სტანისლავ ლაკობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ დევნას შეეწირა აფხაზეთის გლეხობის საუკეთესო ნაწილი, მწერლები, პოეტები, მეცნიერები, ექიმები... გაანადგურეს მთელი ინტელიგენცია – გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.⁸ აფხაზურ ნარატივში რეპრესიები აღქმულია, როგორც ქართველთა მიერ ჩადენილი დანაშაული აფხაზური ეთნოსის გასანადგურებლად.

თბილისსა და სოხუმს შორის არსებულ ურთიერთობებზე კრემლში, რასაკვირველია, იცოდნენ. სტალინმა ისტორიკოსებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ „იწონებდა ... მთავრობის ღონისძიებებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სკოლებში (გაქართულებას) (ბერძენიშვილი 1998, 101). ლაკობას გარდაცვალების შემდეგ ადგილობრივ დონეზე მისი კლანი ლავრენტი ბერიას კლანმა ჩაანაცვლა და დიდი ძალაუფლება მოიპოვა.

1945 წლის 13 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი – „სასწავლო-აღმზრდელობითი სამუშაოების გაუმჯობესება აფხაზეთის ასსრ-ის სკოლებში“ და მიიღო დადგენილება აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე სწავლებაზე გადასაყვანად.⁹ ამ პოლიტიკურმა აქტმა ნაციონალური გრძნობების შელახვის გარდა, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შექმნა პრობლემები. აფხაზეთში ერთაშორისი საკომუნიკაციო ენა, განსაკუთრებით კი ურბანულ სივრცეში, რუსული იყო. ქართული ენა და მეგრული ქართულენოვანი მოსახლეობის ნაწილისათვის იყო გასაგები. ქართულ ენის მცოდნე აფხაზები ძალიან ცოტანი იყვნენ, ხოლო მეგრულის – უფრო მეტი. ადამიანები იწყებდნენ სრულ სასწავლო კურსს იმ ენაზე, რომელიც არც მათ და არც მათმა მშობლებმა წესიერად არ იცოდნენ. არ იყო შესაბამისი გარემოც, განსაკუთრებით სოფლად, სადაც მხოლოდ შემთხვევით თუ გაიგებდი ქართულს (Лежава 1997, 145-146). ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებამ მოიმატა.

ამ დროს თბილისს სოხუმის ადგილობრივ ხელისუფლებასთან სრული ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სკოლის რეფორმას უშიშროების სამსახური ყურადღებით აკვირდებოდა. 1945 წლის ნოემბერში სახელმწიფო უშიშროების ორგანოები კანდიდ ჩარკვიანს აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ატყობინებდა. მოსახლე-

ნისტი. 5 ნოემბერი, 1937 წ. N 254 (5055) ფ. 2

7 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი ფ. 2, აღწ. 1, ს. 175, ფურც. 1-7.

8 Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг. Том II. 2017. გვ. 5

9 სშსს II, ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 29.

ობაში საპროტესტო განწყობა იყო. სკოლის რეფორმის წინააღმდეგ პროტესტმა ნაციონალური შეურაცხყოფის სახე მიიღო. მუსურატ სეიტის ძე ავიძბა ნაცნობთა წრეში ამბობდა: „ქართველებს უნდათ, რომ ჩვენი ნაცია არ არსებობდეს და იყოს საქართველო. ჩვენს ენას არ გვასწავლიან და სხვისი ენა ჩვენ არ გვჭირდება.“¹⁰ მან ქართულ ენაზე სწავლების შემოღება იმით გააპროტესტა, რომ შვილს არ უშვებდა სკოლაში. გულრიფშის სკოლის დირექტორი, ვერა ტარბა ქართულ ენაზე სწავლებას აპროტესტებდა და კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, მიეღო ქართველი პედაგოგები, მიუხედავად მათი უმაღლესი განათლებასა, მაშინ, როდესაც აფხაზ პედაგოგებს საშუალო ტექნიკური განათლება ჰქონდათ.

რეფორმის გამო აფხაზ პედაგოგებში შიში ისადაგურებს, რომ ისინი დაკარგავენ სამსახურს. ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოყვანილი კადრების მეშვეობით მასწავლებელთა კონტინენტის ქართველიზაციის წინააღმდეგნი არიან. პროტესტი განსაკუთრებულად მძაფრად აფხაზებით კომპაქტურად დასახლებულ გუდაუთის რაიონში იგრძნობოდა. სკოლის რეფორმასთან ერთად აფხაზები აპროტესტებდნენ აფხაზი ერის პრივილეგიების დაკარგვას და იმას, რომ აფხაზეთში ყველა თანამდებობა დაკავებულია ქართველების მიერ. გამოსავალს კი ეძებენ კოლექტიურ წერილში, რომელსაც ყველა აფხაზი დაწერდა და გააგზავნიდა ცენტრში, სადაც აღნიშნავდნენ რომ ქართველები ავიწროებენ აფხაზებს¹¹. მოსახლეობაში იზრდება განცდა, რომ ცენტრი – მოსკოვი დაეხმარება აფხაზებს. ლიხნის სკოლის დირექტორი გრიგოლ ზვანბაია ამბობდა, რომ „თავის დროზე, ადრე თუ გვიან, ვინმე ცენტრიდან – მოსკოვიდან, შენიშნავს და ჩაუკაკუნებს ქართველებს“¹². მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილება ღია პროტესტსა და დემონსტრაციაში არ გადაზრდილა.

აფხაზური საზოგადოება და ცენტრალურ აპარატში მომუშავე ადამიანები ერთნაირად არ რეაგირებენ აღნიშნულ პოლიტიკაზე. უფრო მეტიც, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, მიხეილ დელბამ ღია წერილით მხარი დაუჭირა აფხაზური სკოლები გაქართულებას. ის ამ აქტს მიიჩნევდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯად აფხაზეთის განვითარებისათვის, რომელსაც „საბჭოთა საქართველოს ორგანული ნაწილად“¹³ მოიხსენიებდა. ის ასევე თვლიდა, რომ აფხაზურ სკოლებში არსებული განათლების სისტემა ხელს უშლიდა „აფხაზი ხალხის კულტურულ განვითარებას“¹⁴. მიხეილ დელბას და აფხაზური ინტელიგენციის დიდი ნაწილის ინერტულობამ შექმნა გარკვეული მოლოდინი, რომ სკოლის რეორგანიზაციას პრობლემების გარეშე უნდა ჩაეველო.

ახალი თაობა ნაციონალიზმის დასაცავად

ზუსტად ორი წელი გახდა საჭირო იმისათვის, რომ თბილისში პოლიტიკურ ელიტას გაეცნობიერებინა, რომ აფხაზეთში ნაციონალური პოლიტიკის ცვლილებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი ცოცხალი იყო. პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენ-

10 სშსსა II ფ. 14, აღწ. 19, ს. 200, ფურც. 146-147.

11 სშსსა II ფ. 14, აღწ. 19, ს. 200, ფურც. 146-147.

12 სშსსა II ფ. 14, აღწ. 19, ს. 200, ფურც. 146-147.

13 სშსსა II ფ. 14, აღწ. 20, ს. 255 ფურც. 2.

14 სშსსა II ფ. 14, აღწ. 20, ს. 255 ფურც. 3.

ციის დეკლარირებული თანხმობის მიუხედავად, ის საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდულ ნაწილში, არსებობდა. პროტესტი გამოთქვა იმ თაობამ, რომელიც ნესტორ ლაკობას აფხაზური პრივილეგიების დროს და 1937 წლის რეპრესიების შემდგომ პერიოდში აღიზარდა და ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობეს მათი ნაციონალური იდენტობის ფორმები. მეცნიერები, რომლებიც ეთნიკურ აფხაზური ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები იყვნენ, შემდგომში სიცოცხლის ბოლომდე იქნებიან ჩართულები ქართულ ინტელიგენციასთან „ბრძოლაში.“ ისინი აფხაზური აკადემიური ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლები გახდებიან.

1947 წელს ბაგრატ შინკუბა 30-ის, გიორგი ძიძარია 34-ის და კონსტანტინ შაკრილი 48 წლის იყვნენ. მოსკოვში გაგზავნილ რამდენიმეგვერდიან წერილში ის მოთხოვნები იყო ჩამოთვლილი, რომელიც აფხაზეთის საზოგადოებას აწუხებდა. ტონი კორექტული და პრინციპული იყო. იგრძნობოდა, რომ შემდგენლები ცდილობდნენ არ დაემსახურებინათ კრემლის გაბრაზება და წყენა, ამიტომაც, ყოველგვარი პრობლემის სათავედ ქართველები და თბილისიდან მართული პოლიტიკა მიიჩნეოდა. წერილი არ ყოფილა მიმართული მხოლოდ ერთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ის იყო კომპლექსურ მოთხოვნათა მთელი პაკეტი. ისინი ამ აქტით არამარტო საქართველოს სსრ-ის ცენტრალურ ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ, არამედ ადგილობრივსაც – სოხუმში. წერილი გაიგზავნა თბილისის გვერდის ავლით და მისი იგნორირებით. რესპუბლიკაში არაფერი იცოდნენ მსგავსი პოლიტიკური აქტის შესახებ.

წერილის ადრესატი ცენტრალურ კომიტეტში სკპ(ბ) მდივანი ა.ა. კუზნეცოვი¹⁵ იყო. მოთხოვნების ჩამონათვალი აფხაზეთის სკოლის რეფორმით იწყებოდა. ავტორები მოითხოვდნენ სწავლების აფხაზურ ენაზე დაბრუნებას.¹⁶ ისინი კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ მასწავლებელთა კადრების საქართველოდან მობილიზაციისა და ითხოვდნენ, აფხაზი კადრების დარჩენას სკოლებში.¹⁷ მათ უკმაყოფილებას აგრეთვე იწვევდა აფხაზური ენისა და ლიტერატურისათვის დათმობილი არასაკმარისი საათები – ენას – 25 და ლიტერატურას – 6 საათი. წერილში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში აფხაზური სკოლები ცუდად მარაგდებოდნენ სახელმძღვანელოებით, არ მზადდებოდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრები. ამის მთავარ მიზეზად კი ქართულ ინსტიტუტთან შერწყმა სახელდებოდა, სადაც აფხაზური დარჩა როგორც სექტორი. პროტესტი ეხებოდა აფხაზეთის განათლების სამინისტროსაც, სადაც არ იყვნენ დაკავებული აფხაზური ენის სწავლებით. არც აპარატში მოიძებნებოდა შესაბამისი სპეციალობის კადრები.¹⁸

მოთხოვნები შეეხო არამარტო განათლების საკითხს, არამედ ქალაქ სოხუმის გაზეთებსაც. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ აფხაზურენოვანი გაზეთის (Апсны Капшы) ფორმატით. ასევე აპროტესტდნენ გუდაუთასა და ოჩამჩირეში გამომავალ პრესას, სადაც მასალის მხოლოდ ნახევარი იყო აფხაზურად¹⁹. ინტელიგენციის პრეტენზიები შეეხებოდა რადიო-

15 კუზნეცოვი დააპატიმრეს 1949 წელს ლენინგრადელების საქმის გამო და დახვრიტეს იმავე წლის ოქტომბერში

16 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 15-16.

17 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 16.

18 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 17.

19 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 17-18.

გადაცემებსაც – მათი მონაცემებით, აფხაზურ ენაზე რადიო-გადაცემები 1941 წელს შეწყდა და ისინი მხოლოდ ქართულ და რუსულ ენაზე გადიოდა²⁰. ისინი მიიჩნევდნენ, რომ აფხაზური ენა იგნორირებული იყო. 1946 წლის ივლისში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილება, რომ ბანერები სახელმწიფო უწყებებზე, ორგანიზაციებსა და საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციებში ყოფილიყო მხოლოდ ქართულად და რუსულად.²¹

ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევდა წერილის ბოლოში მოცემული მოთხოვნა, რომ ქალაქებში მოხდა მოსახლეობის შევსება, რამაც ადგილობრივი კადრები დატოვა სამუშაოს გარეშე, ადგილობრივ დემობილიზირებულ ადამიანებსაც უჭირდათ სამსახურის შოვნა. ისინი, ასევე, აღნიშნავდნენ, რომ პარტიულ და მაღალ თანამდებობებზე არ იყვნენ აფხაზები²². წერილში ეწერა, რომ ხდებოდა არააფხაზი მოსახლეობის ჩამოსახლება გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებში, რომელიც აფხაზებითაა კომპაქტურად დასახლებული. აგრეთვე, ისინი გამოდიოდნენ საქართველოსთან თანაზიარი ისტორიის მიღების წინააღმდეგ და ითხოვდნენ, რომ სოვეტიზაციის დღედ აღნიშნულიყო არა 25 თებერვალი, არამედ 4 მარტი.²³

აფხაზური ინტელიგენციის განწყობებში იგრძნობა, რომ მათ სურდათ ლაკობას დროს შექმნილი სტატუს კვოს აღდგენა. წერილში მხოლოდ ეთნიკური აფხაზების უფლებების შელახვაზეა საუბარი. თუმცა, ეს აღქმული იყო ექსკლუზიურად აფხაზების პრობლემად. ქართველთა ჰომოგენიზაციის მცდელობა არ ნიშნავდა მხოლოდ აფხაზური სკოლების რეფორმას, ის მხოლოდ მათ არ შეხებია. იგივე რეფორმა შეეხო სხვა ეთნიკურ უმცირესობათა სკოლებს: მაგალითად, სომხურს²⁴, ბერძნულსა და ლაზურს.

თბილისისთვის ეს წერილი ურჩ ფეოდალთა აჯანყებას ჰგავდა. კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე ცდილობენ, ეს აქტი შეაფასონ არა როგორც ეთნიკური აფხაზების, არამედ რიგითი მეცნიერების პროტესტი. იწყება წერილების გაგზავნის მორიგი ტალღა, ოღონდ უკვე თბილისთან დაახლოებული ადამიანებისა და პოლიტიკური ჯგუფების მიერ. პროპაგანდისა და აგიტაციის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ციკოლიამ გრძელი წერილი მისწერა კუზნეცოვს და თითოეული აფხაზური არგუმენტის გაბათილება სცადა. ქართული მხარის ლოგიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ეს იყო აფხაზური სკოლების რეფორმა და არა – გაუქმება. რეფორმის მიზეზი კი აფხაზური სკოლების მიერ მოსწავლეთათვის არასათანადო განათლების მიცემა იყო, რომლებიც ვერ ახერხებდნენ შემდგომში მიეღოთ უმაღლესი განათლება. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ 1944-45 წლებში აფხაზეთში რეგისტრირებული იყო 161 ქართული, 91 აფხაზური, 61 რუსული და 121 სომხური სკოლა.²⁵ აგრეთვე, დამაკმაყოფილებელი არ იყო აფხაზი პედაგოგების მომზადების დონე 45/46 სასწავლო წლისათვის. აფხაზეთის სკოლებში ეთნიკურად აფხაზი მასწავლებლე-

20 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 18.

21 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 18.

22 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 20.

23 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 20-21.

24 ქალაქ სოხუმში სომხური სკოლები 1944-45 წლებში შემცირდა ორი ერთეულით. საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სკოლების განყოფილების უფროსი ხუბუტია ამას ხსნიდა იმით, რომ მოსწავლეების უმეტესობას სურდა სწავლა გაეგრძელებინა რუსულ სკოლაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, ის ამბობდა, რომ აფხაზეთში 120 სომხური სკოლა არსებობდა, რომელიც ჯაშუში აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას სშსსა II ფ. 14, აღწ. 20, ს. 255 ფურც. 1.

25 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 21.

ბის რაოდენობა იყო 466, მათგან 119-ს საშუალო განათლებაც არ ჰქონდა, ხოლო 293-ს მხოლოდ არაპედაგოგიური განათლება ჰქონდა მიღებული. არცერთი აფხაზი, რომელსაც ჰქონდა პედაგოგიური განათლება, არ ყოფილა განთავისუფლებული, ხოლო 300 გამოცდილი პედაგოგის (რომელთა ეროვნება არაა მითითებული გასაგები მიზეზების გამო) აფხაზეთში ჩასვლის შემდეგ სწავლების ხარისხმა მოიმატა.²⁶ თბილისის არგუმენტებით, აფხაზები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი სახელმწიფო მმართველობის აპარატში.²⁷ საქართველოს კომპარტიავში შედიოდა წერილები თხოვნით, რომ მომხდარიყო აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე გადაყვანა. ხშირ შემთხვევაში წერილის დამწერები ეთნიკურად აფხაზი ბიუროკრატები იყვნენ, რომლებიც აფხაზეთის რეგიონებში წარმოადგენენ მმართველობის საშუალო რგოლს.

აფხაზური სკოლების რეფორმის მოწინააღმდეგეთა პროტესტმა იკლო მას შემდეგ, რაც სამი ინტელექტუალის „ალიარებითი ჩვენება“ გამოქვეყნდა, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს ალიარება ნებაყოფლობითი იყო. თბილისისა და სოხუმის პოლიტიკური ელიტა შექმნილი მდგომარეობის არსს ნაკლებად ჩასწვდა. ამ საპროტესტო წერილის შემდეგაც აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი აკაკი მგელაძე თავის მოხსენებებში ხშირად საუბრობდა სასკოლო რეფორმის წარმატებაზე, რომელმაც აფხაზეთში განათლების დონის ამაღლება განაპირობა.²⁸

სკოლების გაქართულების მცდელობა არ ყოფილა მხოლოდ ერთჯერადი ნაბიჯი. ამის პარალელურად ხდება ისტორიული ნარატივის ცვლილებაც. 1951 წელს ქვეყნდება ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის, აფხაზური ლიტერატურის დამფუძნებლის²⁹, დიმიტრი გულიას ნაშრომი, რომელიც თავიდან ბოლომდე თავისივე 1925 წელს გამოცემული ნაშრომის კრიტიკა იყო. დიმიტრი გულია არ ყოფილა ისტორიკოსი, რომელსაც წარსულის მიმართ მხოლოდ სამეცნიერო ინტერესი ჰქონდა. მას სწამდა, რომ ნებისმიერ ერს უნდა ჰქონოდა წარსული და აფხაზეთის წარსულის შექმნაში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა.

1925 წელს დიმიტრი გულიამ გამოსცა ნაშრომი, სადაც აფხაზების ეთნოგენეზს დიდი ადგილი დაუთმო. მისი მოსაზრებით, „ქრისტეს შობამდე მთელი კოლხეთი, ლაზიკა, მცირე არმენია, ჩრდილოეთ მესოპოტამია და რამდენიმე მასთან დაკავშირებული ოლქი, ამიერკავკასია და ჩრდილოეთ კავკასია დასახლებული იყვნენ ტომებით, რომლებიც საუბრობდნენ აფხაზურ-ჩერქეზულ დიალექტზე. აფხაზურ-ჩერქეზულ ტომთა განსახლება კავკასიაში ხან ჩრდილოეთით მიიწევდა და ხანაც სამხრეთით“ (Гулия 1925, 76-77). გულია მომხრე იყო თეორიის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანები მიგრაციების შედეგად აღმოჩნდნენ. აფხაზთა წინაპრებს კი აფხაზეთიდან საკმაოდ შორს მიაკვლია. გულიას მტკიცებით, „აფხაზები გამოსულები არიან ეგვიპტიდან და აზისინიიდან ე.ი აბასიიდან. (ეგვიპტე და აბასია ხშირად შეადგენდნენ ერთ სახელმწიფოს)(იქვე, 79). აზისინიას კი ადრე დღევან-

26 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 22.

27 სშსსა II ფ. 14, აღწ. 21, ს. 298, ფურც. 23-24.

28 სშსსა II ფ. 14, აღწ. 26, ს. 380.

29 მიხეილ დელბა, წიგნი, რომელიც 1937 წელს გამოიცა, დიმიტრი გულიას უწოდებს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელს. ის მიეძღვნა მეცნიერის სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წელს. მასში აღწერილია გულიას ბიოგრაფია, სოციალური და პოლიტიკური გარემო რამაც მასზე იქონია გავლენა და სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობა (Дельба 1937).

დელ ეთიოპიას უწოდებდნენ. აფრიკელ ხალხებთან ნათესაობა და გულიას დასკვნები იმ დროს აფხაზეთის მმართველის, ნესტორ ლაკობას ინტერესებში სრულებითაც არ თავსდებოდა. ამიტომ წიგნზე რეაქცია ყველაზე ემოციურად სწორედ მან გამოხატა: დაე, თვითონ გულია იყოს სამჯერ ეთიოპიელი (Шнирельман 2003, 284). წიგნი სოხუმში არ გამოიცა და დიმიტრი გულიამ ეს წიგნი უკვე თბილისში (მაშინ ტიფლისში) დაბეჭდა. გულია მის მიერ შექმნილ ნარატივში ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ქართველური ტომების გავლენა კოლხეთში და აღნიშნავს, რომ „ჩვენ არ შეიძლება კოლხეთის მკვიდრთა შორის დავინახოთ ქართველური ტომი... ჩვენ არ გვაქვს არანაირი საფუძველი დავინახოთ მათში (ე.ი კოლხებში) ქართველური რასის ტომი“ (Гулия 2006, 8).

1930 წელს სოხუმში გამოცემული გზამკვლევი გულიას მოსაზრებაზე უფრო რბილი და ზომიერია და ერთ-ერთ თავში ისიც კი არის აღწერილი, რომ „X საუკუნეში, არაბების მიერ საქართველოდან განდევნის შემდეგ, აფხაზური ტომები ერთიანდებიან ქართულ ტომებთან და ქმნიან იმ დროისათვის დიდ აფხაზურ-ქართველურ სამეფოს“ (Орнийанский и Фадеев 1930, 27). 1943 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო აფხაზთა სამეფოს დასავლეთ ქართულ სამეფოდ მიიჩნევს (პოლიტიკური ცენტრით ქუთაისში). ეთნიკურად აფხაზური ელემენტი არ იხსენიება. „მე-9-მე-10 საუკუნეებშიაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები – ქართველი, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ“ (ჯავახიშვილი, ჯანაშია და ბერძენიშვილი 1943, 134). სკოლის სახელმძღვანელოში გატარებული ეს მოსაზრება ახალი არ ყოფილა და ის მეცხრამეტე საუკუნის ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძესთანაც გვხვდება, რომელიც აფხაზეთად მიიჩნევდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო აქ მოსახლეებს მეგრელებად იხსენიებდა (ბაქრაძე 1889, 270-273).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიმიტრი გულია 1952 წელს აქვეყნებს ნაშრომს, რომელიც მისი პირველი წიგნის კრიტიკას წარმოადგენს. ის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით, ბრინჯაოს ცულების აღმოჩენის გეოგრაფიული არეალის მასშტაბების გათვალისწინებით, სრულიად უარყოფს თავის პირველად მოსაზრებას და მიდის დასკვნამდე, რომ „ეს არტეფაქტები მოწმობენ მთელს დასავლეთ საქართველოში წინარე ქართული (რომელიც ატარებდა კრებით სახელს – კოლხი) ტომების მჭიდრო და მთლიან განსახლებაზე. ტომები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, წარმოადგენდნენ ერთიან ორგანულ კულტურულ-ისტორიულ წრეს და ერთად მიდიოდნენ კულტურული განვითარების გზით (Гулия 2006, 12). მისი მოსაზრებით, ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი დიდი კულტურული ერთეული – აღმოსავლური და დასავლური, ეს უკანასკნელი მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, ჩრდილო კავკასიის მთიან ნაწილს მდ. თერგის დასავლეთით, მდ. ჭოროხის აუზს და შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ ნაწილის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს არის ის ტერიტორია, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა კოლხეთი (იქვე, 13).

როგორც ვხედავთ, ისტორიული ნარატივები პოლიტიკური პროცესების ცვლილება-სთან ერთად ვითარდებოდა და იცვლებოდა. საქართველოში ისტორიოგრაფიის სკოლა სრულად იყო დამოკიდებული იმ მეთოდოლოგიებსა და მიდგომებზე, რომელსაც ხელი-სუფლება მოიწონებდა. შემდგომში პერიფერიული სამეცნიერო სკოლები მასთან ადაპტაციასა და საკუთარი ნარატივების მორგებას ცდილობდნენ.

ბერიას დახვეწა და „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“ აუხაზეთში

1953 წელს კრემლში დიდი საკადრო ცვლილებები ხდებოდა. გარდაიცვალა იოსებ სტალინი. ივლისში დააპატიმრეს ლავრენტი ბერია. საქართველოს კპ(ბ) ბიურომ ერთხმად მიიღო დადგენილება და 7 ივლისს ბერია გარიცხეს პარტიიდან ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გამო. ბერიას ბრალად ედებოდა, რომ მან აიღო „შეფობა“ საქართველოზე და რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა მის მიერ. ჩარკვიანი და მგელაძე მას აყენებდნენ საქმის კურსში, რამაც შექმნა ხელოვნური ბარიერი რესპუბლიკასა და საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში.³⁰ ბერიას აკრიტიკებენ და პარტიიდან რიცხავენ მის მიერ ხელდასმული და ლობირებული კადრები.

იწყება დიდი წმენდა საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და უშიშროების ორგანოებში. ხელისუფლება ცდილობს სამართლიანობის აღდგენას და ბერიას მიერ საქართველოში განხორციელებული რეპრესიების საზოგადოებისათვის გაცნობას. 1955 წელს თბილისში, რკინიგზელთა სახლში იმართება სასამართლო პროცესი, სადაც ლავრენტი ბერიას უახლოესი გარემოცვის წევრები: შალვა წერეთელი, ავქსენტი რაფავა, ალექსანდრე სავიცი და სხვები გაასამართლეს. პროცესი ნახევრად საიდუმლო იყო და მას 800-მდე ადამიანი ესწრებოდა. „სოციალისტური სამართლიანობის“ დარღვევის ბრალდებით ასევე დააპატიმრეს შინსახკომის რამდენიმე საშუალო და მაღალი რგოლის წარმომადგენელი. მათ წინააღმდეგ გაიმართა დახურული სასამართლო პროცესები.³¹ პროცესების უმეტესობა ჩატარდა თბილისში, გარდა ერთი შემთხვევისა. 1937-1938 წლების რეპრესიების პერიოდში აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო გრიგოლ ფაჩულია, ყოფილი ფეხბურთელი, საფეხბურთო კლუბ თბილისის დინამოს მწვრთნელი, რომელიც ძალიან მოულოდნელად დანიშნეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. მან არაადამიანური სისასტიკით განახორციელა რეპრესიები აფხაზეთში. მის წინააღმდეგ ძიების პროცესი თბილისში გაიმართა, ხოლო სასამართლო სხდომები დაინიშნა ქალაქ სოხუმში.³² სასამართლოს სხდომა დახურული იყო, ამიტომ აღელვებული მოსახლეობა დარბაზის შესასვლელთან მოგროვდა.³³ მოსკოვის მიერ განხორციელებული ეს სიმბოლური აქტი გათვლილი იყო აფხაზი საზოგადოების სიმპათიის მოსაპოვებლად. აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულის გადასინჯვა სოხუმში მოხდებოდა და არა თბილისში.

თბილისის პოლიტიკური ელიტისათვის „ორი ქართველის“ კრემლში არყოფნა ნაციონალური სიამაყის შელახვა იყო, სხვაგვარი განცდა სუფევდა ეთნიკურად აფხაზებში. აფხაზურმა ინტელიგენციამ რეჟიმის ცვლილება რომ იგრძნო, გააქტიურდა საკუთარი პოლიტიკური და ნაციონალური უფლებების მოსაპოვებლად. ახლა ის უფრო მეტად მობილიზებული გახდა. ამ დროს თბილისში პოლიტიკური გარემო ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. აფხაზეთის ადგილობრივ ელიტას თამამად შეუძლია გააკრიტიკოს ბერიას

30 სშსსა II ფ. 14, აღწ. 27, ს. 10, ფურც. 6, 12

31 სშსსა II განსაკუთრებული საქალაქდებები, საქმე 34, ფურც. 112.

32 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი | განყოფილება ფ. 6, საქმე 5560, ტ. 8, ფურც. 33.

33 ზეპირი ინტერვიუ გრიგოლ ფაჩულიას შვილთან. 18/11/2015. ფაჩულიას შესახებ ინფორმაციას ვხვდებით აფხაზი რეპრესირებული ქალის მოგონებებშიც (Абнас-Оглы 2005, 287)

ქმედებები, რომელიც აბსოლუტურ თანხვედრაშია კრემლში არსებულ განწყობებთან და ეცადოს, გაზარდოს აფხაზური კომპონენტისადმი ინტერესი. ოფიციალურ მიმოწერაში ისინი ღიად აკრიტიკებენ წინა ხელისუფლებას ნაციონალურ პოლიტიკაში დაშვებული დარღვევების გამო. მათულობს აფხაზების დანიშვნა თანამდებობებზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ქარჩავა დახმარებას ითხოვს სოხუმის სახელმწიფო თეატრის დრამატული წრის მუშაობისათვის. თეატრის ქართველი დირექტორი ჭელიძე იცვლება ეთნიკურად აფხაზი აგრბათი. თეატრალურ უნივერსიტეტს დაევალა აფხაზი სტუდენტების მიღება პირველ კურსზე³⁴. იმავე წელს ბაგრატი შინკუბა საქართველოს მწერალთა კავშირისგან ითხოვს დამატებით სამტატო ერთეულებს, რათა აფხაზეთის მწერალთა კავშირმა ნორმალური ფუნქციონირება შეძლოს.³⁵ აფხაზურენოვანი გაზეთი „აპსნი კაპშის“ ტირაჟი გაიზარდა 5000 ერთეულამდე³⁶; აფხაზეთში პარტიის ხელმძღვანელი გეგეშიძე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ვასილ მჟავანაძეს მიმართავს თხოვნით, რომ აფხაზეთის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის განყოფილების გამგის თანამდებობაზე დაინიშნოს შაკრილი, ინტელიგენციის სამი წარმომადგენლიდან ერთ-ერთი, რომელმაც 1947 წელს მოსკოვში წერილი გააგზავნა. რამდენიმე ადგილას ქართული ტოპონიმები შეიცვალა რუსულით: მეორე სალხინოს დაერქვა ვესელიოკი, სოფელ სააგურეს კირპიჩნოე, ხოლო სოფელ ვერცხლიანს სერებრიანოე.³⁷

1953-1954 წლების სასწავლო წლის დასაწყისში მოხდა აფხაზური და სამხრეთ ოსეთის სკოლების რეორგანიზაცია. სწავლა აღდგა მშობლიურ ენაზე 1-4 კლასში, ხოლო 5-8 კლასებში აღადგინეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება. დაიწყო სკოლებში კადრების რეორგანიზაცია. ცალკე გამოიყო აფხაზური სექტორი სოხუმის უნივერსიტეტში. შეიქმნა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტი, სადაც აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრას სამი სამტატო ერთეული ჰყავდა. ქალაქ სოხუმში აღდგა აფხაზური სკოლა-ინტერნატი 300 ადამიანზე. აფხაზეთის განათლების მინისტრს დაევალა მოემზადებინა სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის და ქრესტომათია აფხაზური ლიტერატურის შესახებ მაღალი კლასებისათვის³⁸. აფხაზური დამწერლობა დაუბრუნდა კირილიცას³⁹. ამ ცვლილებების ფონზე დაკმაყოფილდა აფხაზი ინტელიგენციის მოთხოვნათა ნაწილი, რომლებმაც 1947 წელს წერილი მისწერეს მოსკოვს.

აფხაზური პოლიტიკური ელიტისა და კრემლის პოზიციები ბერიას მიერ გატარებულ რეფორმებთან დაკავშირებით ერთგვარია. აფხაზები პოსტსტალინურ პერიოდში უფრო მეტად მობილიზებულნი არიან. განსხვავებით სტალინის პერიოდის სასკოლო რეფორმისგან, ხრუშჩოვის პერიოდში ინტელიგენცია და პოლიტიკური ელიტა კარგად კოორდინირებულია. პარტიული ნომენკლატურა ინტელიგენციის მხარდაჭერით სარგებლობს.

1937-1953 წლებში აფხაზური ნაციონალიზმი კონსოლიდირებული გახდა. თბილისის პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ისტორია, როგორც მეცნიერება, ხდება მანიპულაციის საგანი აფხაზი და ქართველი ისტორიკოსების მიერ. ორი ეთნიკური ჯგუფი იბრძვის ის-

34 სშსსა II ფ. 14, აღწ. 27, ს. 239, ფურც. 190.

35 სშსსა II ფ. 14, აღწ. 27, ს. 239, ფურც. 221-234.

36 სშსსა II ფ. 14, აღწ. 27, ს. 239, ფურც. 245.

37 სშსსა II ფ. 14, აღწ. 28, ს. 130, ფურც. 6.

38 სშსსა II ფ. 14, აღწ. 28, ს. 315, ფურც. 145-147.

39 სშსსა II ფ. 14, აღწ. 28, ს. 50, ფურც. 4.

ტორიული „ჭეშმარიტების“ დასამტკიცებლად. ყველაზე მტკივნეული და პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხი ერის ეთნოგენეზია. საქართველოს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხზე დისკუსია ათწლეულების განმავლობაში გრძელდება.

1930-იან და 40-იან წლებში აფხაზების ეთნოგენეზზე წერდა სიმონ ჯანაშია. ის აფხაზებს აკავშირებდა აფსილებთან და აბაზგებთან, რომლებიც იხსენიებიან I-II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ის არ განიხილავდა საკითხს თუ როდის გაჩნდნენ ისინი შავი ზღვის სანაპიროზე. მისთვის აფხაზები ქართველებთან და სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად ერთ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. თუმცა ჯანაშიას რამდენიმე ანალიზი აფხაზური ნაციონალიზმისათვის ძალიან სასიამოვნო იყო – ის, რომ ადრეულ შუასაუკუნეებში აფსილები და აბაზგები მოძრაობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ, რომ ტერმინი აფსილები დაკავშირებულია აფხაზების თვითსახელთან „აფსუა“ და რომ თამარ მეფის შვილის სახელი ლაშა, აფხაზურად შუქს ნიშნავდა (Шнирельман 2003, 303-304).

გიორგი მელიქიშვილი ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქართველები მოსულები კი არ არიან ამ ტერიტორიაზე, არამედ მუდმივად აქ ცხოვრობდნენ. აღნიშნავს, რომ „ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (115-1077 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) წარწერებში ქაშქების სახელის („ქაშქა“) ვარიანტის სახით თავს იჩენს სახელწოდება „აბეშელა“. ეს უკანასკნელი შეიძლება დაეუკავშიროთ „აფსილების“ ტომის სახელს, რომელიც უკვე ანტიკურ ხანაშია დამოწმებული აფხაზეთის ტერიტორიაზე – ეს ტომი აგრეთვე ჩრდილო-კავკასიური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო (მელიქიშვილი 1953, 12).

სიმონ ჯანაშიას, გიორგი მელიქიშვილისა და სხვათა მოსაზრებებს აფხაზების ეთნოგენეზის შესახებ საპროტესტო აქციები და გამოსვლები არ მოჰყოლია.

1954 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას კვლევა „გიორგი მერჩულე“ წიგნში ქართული წერილობითი წყაროებისა და უცხოელ ავტორთა ცნობების ანალიზის, ისტორიული ტოპონიმიკის, აფხაზეთის მხარეთა ისტორიული გეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ აფხაზები ერთ-ერთი ქართულ ტომთაგანია და მათი თავდაპირველი სახელწოდება იყო მოსხი. რაც შეეხება გვიანდელ აფხაზეთს, ის მათ აფსუებად იხსენიებს, რომლებიც, მისი აზრით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მე-17 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდნენ (ჯანელიძე 2014, 11-12).

მერვე საუკუნის ამბების აღწერისას პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილია ქართველი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართული ტომი – აფხაზები“ (ინგოროყვა 1954, 117, 294-295). ის ასევე მიიჩნევს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა შედგებოდა ოთხი ტომისგან: 1. აფხაზები 2. სანიგები (სანიხები) ანუ ჰენიოხები 3. აბსილები (აფსილები) 4. მისიმიანები. ამ ოთხი მკვიდრი ტომის გარდა, აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ სანაპიროზე ჩამოსახლებულნი ყოფილან ჯიქები (ეს არის აფხაზეთის ჯიქეთი). პავლე ინგოროყვა მიიჩნევდა, რომ მე-8-მე-10 საუკუნეებში ეს მხარე დასახლებული იყო რამდენიმე ტომით, უმთავრესი ადგილი ეჭირა აფხაზთა ტომს, რის გამოც მთელ მხარეს აფხაზეთი ეწოდა (იქვე, 122). მეცნიერს აგრეთვე გაანალიზებული აქვს აფხაზეთში არსებული ტოპონიმიკის გრძელი ნუსხა და მიდის დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს ქართულ ენას ენათესავება და მიუთითებს იმაზე, რომ წარსულში ეს ტერიტორია ქართული ტომებით ყოფილა დასახლებული.

პავლე ინგოროყვას ნაშრომი აფხაზეთმა ნაციონალური იდენტობის წართმევის მცდელობად აღიქვეს. გიორგი ძიძარია ავტორის კონცეფციას, თითქოს თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობასა და ანტიკურ ხანასა და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აქ მცხოვრებ მოსახლეობას შორის არანაირი ნათესაური კავშირი არ ყოფილა, ფსევდომეცნიერულს უწოდებს (Дзидзария 2006, 181).

აფხაზეთში საპროტესტო განწყობებმა მთელი საზოგადოება მოიცვა. თბილისში იგზავნება საპროტესტო წერილები. განსაკუთრებულად აქტიურობენ პარტიული ფუნქციონერები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. 1955 წლის ნოემბერში საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში შემოდის წერილი, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, გეგეშიძე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ლაბახუა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ჭოჭუა აწერდნენ ხელს. მათი აზრით, ინგოროყვას ნაშრომი არ მისდევდა თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებს, იყო მავნებლურად დაწერილი, აგრძელებდა ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკას და ცდილობდა დაემტკიცებინა აფხაზეთის არარსებობა. თბილისსა და რეგიონს შორის უნდობლობამ კიდევ უფრო მოიმატა. აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ეჭვობდნენ, რომ სტატია გავრცელდა თბილისის პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერით. ბიუროკრატები ძალიან აქტიურობენ ისტორიული სამართლიანობისათვის ბრძოლაში, იცავენ აფხაზურ ნაციონალურ ნარატივს, რომ აფსუა (ერის თვითსახელი) არის აფხაზეთი, რომლებიც წარსულში იყვნენ აბაზგები და აფსილები და, რომ, ისინი საუკუნეთა განმავლობაში სახლობდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ბიუროკრატები ინგოროყვას მეთოდოლოგიურ მიდგომებსაც აკრიტიკებენ, მიიჩნევენ, რომ ავტორს აქვს უფრო შორს მიმავალი გეგმები და ის პრეტენზიას აცხადებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც, კერძოდ სოჭის ოლქზე⁴⁰.

შექმნილი დაძაბულობა სცდება ისტორიული დისკუსიის ფარგლებს. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მიერ თბილისში გაგზავნილი წერილის ტონი საკმაოდ ხისტია. გაბრაზების ობიექტი არამარტო ინგოროყვა, არამედ მის მხარდამჭერი მეცნიერებიც არიან. აფხაზეთი უკმაყოფილოები არიან პარტიის იდეოლოგიური ფრონტის მუშაობით, რომელმაც ნება დართო, რომ ეს „ბურჟუაზიულ-ფსევდომეცნიერული შეხედულებები“ პრესაში გამოქვეყნებულიყო. დაძაბულობამ უფრო მოიმატა. თბილისიდან სოხუმში ჩადიან დელეგაციები. მოსახლეობის მხრიდან კი არის მცდელობები, რომ მოხდეს რაიონული შეკრებები. აფხაზეთის კომუნისტური პარტია ცდილობს, შექმნილი დაძაბულობის ფონზე, ახალი მოთხოვნები წაუყენოს თბილისს. უპირველესად ისინი ითხოვენ, რომ არ დაუშვან პრესაში იმ სტატიების ბეჭდვა, რომლებიც პოლიტიკურად მავნებელია, მოითხოვენ სოხუმში რადიომაუწყებლობის აშენებას, ტოპონიმების სრულად აღდგენას და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებების გაზრდას. გარდა ამისა, მოითხოვენ ადგილობრივი კადრების დაწინაურებას თანამდებობაზე და ასევე, ეთნიკურად აფხაზეთის დანიშვნას თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მოთხოვნათა ბოლოს კი ჩნდება ერთ-ერთი პირველი მცდელობა ნესტორ ლაკობას საჯარო სივრცეში დაბრუნებისა. სურთ, რომ მის ხსოვნას პატივი მიაგონ.⁴¹

40 სშსსა II ფ. 14, აღწ. 30, ს. 374, ფურც. 3-4.

41 სშსსა II ფ. 14, აღწ. 32, ს. 281ა, ფურც. 2-4

ქართველმა ისტორიკოსებმა სოლიდარობა გამოუცხადეს პავლე ინგოროყვას და სტატიის შესახებ რეცენზიები გამოაქვეყნეს სხვადასხვა ჟურნალში. ნაშრომის კრიტიკის მიუხედავად, მას ღირებულად მიიჩნევდნენ.⁴² ამის გამო ეს ისტორიკოსები ხშირად კრიტიკის ობიექტები ხდებოდნენ თბილისში ეთნიკურად ქართველი კოლეგებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერაც.

1957 წლის 25 თებერვალს შედგა ნიკო ბერძენიშვილის რეცენზიის განხილვა ისტორიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მიერ. მისი რეცენზია ჟურნალ მნათობში დაიბეჭდა და ეხებოდა პავლე ინგოროყვას ნაშრომს. ნიკო ბერძენიშვილს „ისტორიულ სასამართლოს“ უწყობენ. ის ახსნა-განმარტებას აძლევს პარტიის წევრებს და ხაზგასმით ამბობს, რომ მისი სტატია ჟურნალში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააგზავნა. მისი მიზანი იყო პავლე ინგოროყვას შესახებ დისკუსიაში ჩართულიყო, თუმცა თავისი მოსაზრება გაზეთში გამოსაქვეყნებლად არ ჰქონდა განზრახული. პარტიისათვის გაგზავნილი წერილი კი პრესაში აღმოჩნდა. აგრეთვე ის ცალსახად აღნიშნავს, რომ მხარს არ უჭერს პ. ინგოროყვას იდეალისტურ მოსაზრებას, რომ ქართველობა იმთავითვე ერს წარმოადგენდა. მისი აზრით, ინგოროყვას საერთოდაც არ უნდა გაერჩია ეთნოგენეზის საკითხი, რადგან ამ საკითხს სჭირდება გეოგრაფიული, არქეოლოგიური, ფოლკლორული და ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა და რადგან ასეთი სამუშაო არ ჩატარებულა, არა გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ ქართველთა და აფხაზთა ერთობლივ წარმოშობაზე.⁴³ ქართველი ისტორიკოსები ნიკო ბერძენიშვილისგან მოითხოვენ, რომ უფრო კონკრეტული და რადიკალური იყოს. შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი, მარიკა ლორთქიფანიძე ამ დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობს. ის ცალსახად ქართველთა ჰომოგენიზაციისა და უპირატესობის მომხრეა და აღნიშნავს, რომ „როცა ქართველ ტომთა გაერთიანებაზე, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნაზე ვლაპარაკობთ, უნდა გაიხაზოს, რომ წამყვანი ქართული ენა და სარწმუნოება იყო, რომ გავლენა აქედან მოდიოდა. ერთ სიბრტყეზე ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს შექმნაში ქართველურ და არაქართველურ ტომთა მონაწილეობის დაყენება სწორედ არ უნდა გამოიყურებოდეს⁴⁴“. ბერძენიშვილი კი ცალსახად განმარტავდა, რომ საქართველოს სამეფოს გაერთიანებაში არაქართველი ტომების მონაწილეობა ისეთივე იყო, როგორც ქართველების.

პარტიული ბიუროკრატებისგან განსხვავებული და უფრო მეტად რადიკალური იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლების წერილი, რომელსაც 8 ადამიანი აწერდა ხელს. ისინი აპროტესტებდნენ ახვლედიანის, ყაუხჩიშვილის და კობიძის მიერ ინგოროყვას მხარდაჭერას. ინტელიგენციის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო დაგეგმილი აქტი აფხაზთა ეთნიკური ერთიანობის წინააღმდეგ. ისინი ითხოვდნენ, დაუყოვნებლივ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცათ აფხაზეთის ისტორიის ყველა ფალსიფიკატორი, ხოლო თბილისისათვის პროტესტის გამოხატვის ყველაზე უკეთეს ფორმად მიაჩნდათ უარის თქმა თბილისში აფხაზური კულტურის დეკადის გამართვაზე⁴⁵.

42 ნიკო ბერძენიშვილის რეცენზია დაიბეჭდა ჟურნალში „მნათობი“ 1956 12(1). გიორგი ახვლედიანის რეცენზია დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1957 წლის 2 თებერვალს, 57/2.

43 სშსსა II ფ. 698, აღწ. 1, ს. 26, ფურც. 2-4

44 სშსსა II ფ. 698, აღწ. 1, ს. 26, ფურც. 5

45 სშსსა II ფ. 14, აღწ. 32, ს. 281ა, ფურც. 5

პედაგოგიური ინსტიტუტის სპეციალური სესია მივიდა დასკვნამდე, რომ „აფხაზების აბორიგენობის“ საკითხი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც აფხაზური ნაციონალური კუთვნილებისა, არ შეიძლება საკამათო გამხდარიყო. სტუდენტობა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროცესებში, საკითხის გადაუჭრელობის შემთხვევაში, იმუქრებოდა მოსკოვში დელეგაციის გაგზავნით. აფხაზეთის თეატრის თანამშრომლებმა კი ამ ამბების შემდეგ საერთოდ უარი განაცხადეს თბილისში გასამართ კულტურის დეკადაში მონაწილეობაზე.⁴⁶

პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეზე“ მუშაობის დროს არ მოსვლია იდეა ქართველ და აფხაზ ტომთა ეთნოგენეზის ერთობლიობაზე. ჯერ კიდევ 1918 წელს მის მიერ გამოცემულ წიგნში მოსახლეობის ქართველურ ჯგუფში ქართველებთან ერთად ათავსებს აფხაზებსაც. მის მოსაზრებით „აფხაზებს ქართველებთან აერთიანებს არა მარტო ახლო რასიული ნათესაობა (ისინი ეკუთვნიან ქართულ-მთიულური ენათა ოჯახს და ლინგვისტურად აფხაზურ ენას უჭირავს საშვალო ადგილი ქართულ ენასა და მთიულურ ენებს შუა), მათ აერთიანებთ ქართველებთან არა მარტო სარწმუნოება (მთელს მხარეში აფხაზთა შორის ქრისტიანია 80 პროცენტამდე: 35 000 სული), არამედ აფხაზობა ქართველობასთან შეკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი კულტურული ერთობით“ (ინგოროყვა 1918, 6).

ვიქტორ შნირელმანი მიიჩნევს, რომ აფხაზური საისტორიო სკოლა ჩამოყალიბდა 1950-იან-1970-იან წლებში. აფხაზ სპეციალისტთა შორის ძველი აფხაზეთის ისტორიის მიმართ ყურადღებას განსაკუთრებით იჩენდნენ გიორგი ანჩაბაძე და შალვა ინალ-იფა (Шнирельман 2003, 355). 1937-1953 წლებში თბილისის მიერ განხორციელებულმა მცდელობამ, რომ აფხაზების გაქართველება მოეხდინა, მარცხი განიცადა. აფხაზური ნაციონალიზმი უფრო ფრთხილი, მობილიზებული და კონსოლიდირებული გახდა. აფხაზები საკუთარი იდენტობის დაცვას ცდილობენ თბილისის ქმედებების საპასუხოდ. მათთვის ნაციონალური იდენტობის დაკარგვის მთავარ საფრთხედ თბილისიდან მომდინარე პოლიტიკა აღიქმება. 1947 წლის წერილი აფხაზეთისათვის პრეცედენტული იყო, მათ დაინახეს, რომ ნაციონალური გრძნობების შეურაცხყოფის საპასუხოდ არაა აუცილებელი სამართალი თბილისში ეძებო. მისი მონახვა უფრო ზევით, მოსკოვში შეიძლება. თბილისის პარტიულ ელიტას კი მოსკოვთან ურთიერთობების დაძაბვა არ უნდა. აფხაზების თვითაღქმაში ყალიბდება ორგვარი მეტროპოლიის აღქმა – ერთია თბილისი, რომელიც მათ უფლებებს შეურაცხყოფს და მეორე – მოსკოვი, რომელიც მათ იცავს რესპუბლიკური მეტროპოლიის ქმედებებისგან. აფხაზური ნომენკლატურა, ინტელიგენცია და სტუდენტობა ხდება ნაციონალური გრძნობების მთავარი დამცველი. აფხაზური საისტორიო სკოლის გაჩენასთან ერთად მათ დაიწყეს ბრძოლა საკუთარი წარსულის შესაქმნელად, რომელიც ხშირად რადიკალურად განსხვავდებოდა თბილისის ხედვებისგან. პავლე ინგოროყვას სტატია არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სამეცნიერო დისკურსმა პოლიტიკური სკანდალი და დემონსტრაციები გამოიწვია.

46 სშსსა II ფ. 14, აღწ. 32, ს. 281ა, ფურც. 6-11

ცენზურა სიმშვიდის სანაცვლოდ

საქართველოს კომპარტიის პირველი, მდივანი ვასილ მუჟვანაძე აფხაზეთის საოლქო კომიტეტს აკრიტიკებდა, რომ ის სათანადოდ არ იბრძოდა ცალკეული ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტების წინააღმდეგ. აღნიშნავდა, რომ ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს აფხაზეთის წარსულის იდეალიზაციასთან. უფრო მეტიც, მიიჩნევდა, რომ მხოლოდ უკრიტიკო დამოკიდებულების გამო იყო შესაძლებელი აფხაზეთში ქელემ-ბეის მონუმენტის აღმართვა, რომელიც, მისი აზრით, ჭეშმარიტი ისტორიისაგან განსხვავებით წარმოდგენილია როგორც პროგრესული მოღვაწე და ეროვნული გმირი (Лежава 1997, 171).

ამ პერიოდში ისტორიული სამართლიანობისათვის ბრძოლაში თავად ისტორიკოსები სათადარიგო მოთამაშეები არიან. მონოპოლია ამ სფეროში პოლიტიკოსებს უკავიათ, რომლებიც ისტორიას როგორც ინსტრუმენტს იყენებენ. 1965 წელს გამოვიდა ბგაჟბას წიგნი „აფხაზური ენის ბზიფის დიალექტი“, რომელსაც მოჰყვა მცირე ეროვნებათშორისი კონფლიქტი, მაგრამ სიტუაცია მალევე განიშტა.

1966 წელს თბილისში ისტორიკოსებისათვის საინტერესო ამბები ხდებოდა. გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მესამე წიგნი. მეცნიერი ბევრ საინტერესო საკითხს მიმოიხილავს, თუმცა ყურადღების ცენტრში მაინც ერთი თავი მოექცა, სადაც ის აყალიბებს მოსაზრებას, რომ ფეოდალური ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის შექმნაში აფხაზები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც ქართველები, კახელები, ეგრები ... და რომ შუა საუკუნეებში აფხაზები ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ (ჯანელიძე 2014, 12) პროტესტი აფხაზეთში ზუსტად ამ ფრაზას მოჰყვა.⁴⁷

ნაშრომს პირველად აფხაზი სტუდენტები გაეცნენ, რომლებიც თბილისში სწავლობდნენ. მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მღელვარება მოყვა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისა და თანამშრომელთა მხრიდან. სიტუაცია იქამდე დაიძაბა, რომ აფხაზმა მძღოლებმა ყველა ქართული წარწერა გადაღებეს სოხუმიდან კრასნოდარის მხარის საზღვრამდე. იმავე დღეს, ღამით, უცნობი ადამიანები აღვიძებდნენ აფხაზებს და სთხოვდნენ სოხუმში საპროტესტო დემონსტრაციაზე ჩამოსვლას. მიზეზად კი აფხაზთა უფლებების დარღვევას აცხადებდნენ.

სიტუაციის დაძაბულობა ამით არ ამოწურულა. 1 აპრილს თეატრში უნდა გამართულიყო წარმოდგენა. ინტელიგენციასა და სტუდენტებს შორის დაიწყო იმაზე საუბარი, რომ სპექტაკლის დასრულების შემდეგ გამართულიყო პროტესტი ბერძენიშვილის სტატიის გამოქვეყნების წინააღმდეგ. კობახია, რომელიც აფხაზეთის საოლქო კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ამ საუბრისას ცდილობდა შუალედის დაცვას. ერთი მხრივ, მან პროტესტი განაცხადა ბერძენიშვილის სტატიაზე, თუმცა მიტინგის გამართვა მის ინტერესებში არ შედიოდა. მას მოვლენების ესკალაცია აღარ სურდა. უკმაყოფილების მიზეზად ის ასახელებდა აფხაზური ტოპონიმის საკითხს, რომლის გადაწყვეტაც დროში იქნა გაწეული. ის ირიბად აკრიტიკებდა აფხაზი ინტელიგენციის მიერ პროტესტის გამოხატვის ფორმას, თუმცა თავად არ ემიჯნებოდა მას. ინტელიგენციის ლიდერი ბაგრატი შინკუბა კი ღიად

47 აფხაზეთში ყველაზე მეტი პროტესტი გამოიწვია ფრაზამ წიგნიდან, რომ დღეს გვიწევს იმის მტკიცება, რომ აფხაზები, მესხები (შავშ-კლარჯები-ტაოელები), ლაზები, აჭარლები, ქობულეთელები და ინგილოები ქართველები არიან (მათი ქართველობა)

აცხადებდა, რომ ბევრი აფხაზი უკმაყოფილოა იმით, რომ დროდადრო ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩნდება თხზულებები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აფხაზთა წარმომავლობას, როგორც ერის თვითმყოფადობას, რომელსაც აქვს საკუთარი ენა და თვითმყოფადი კულტურა.⁴⁸ ინტელიგენცია უფრო ხისტადაა განწყობილი, ვიდრე აფხაზური პარტიული ელიტა, რომელიც რიდითაა თბილისის პოლიტიკური ელიტისადმი განწყობილი და არ სურს მათი მხარდაჭერის დაკარგვა. თეატრში გამართულ საპროტესტო შეხვედრაზე ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც წინასწარ მომზადებული წერილით სურდა მიემართა საკავშირო პარტიისათვის, არსებული ქართული შოვინიზმის საპასუხოდ მოეთხოვათ აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს სსრ-დან და მისი მოკავშირე რესპუბლიკად გახდომა. დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრა, შეხვედრებიც გამართეს, მაგრამ წერილის გადაცემაზე უარი განაცხადეს (Лежава 1997, 171-172).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძალიან აღელვებული იყო აფხაზეთში მომხდარი ვითარების გამო. საკითხი ბიუროზე განიხილეს და დაადგინეს: პრობლემის მთავარ მიზეზად დასახელდა ინტერნაციონალური აღზრდის არასათანადო დონეზე ყოფნა. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელს, ძოწენიძეს დაევალა, რომ გადაეწყვიტა დასახლებათა სახელების შეცვლის საკითხი. აფხაზეთში გაიგზავნა დევი სტურუა. აგრეთვე მიზანშეწონილად მიიჩნიეს საქართველოს კპ(ბ) პირველი პირის, მჟავანაძის გამგზავრება.⁴⁹ შეხვედრას, რომელიც აფხაზეთში შედგა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების შემადგენლობით, მეცნიერებიც ესწრებოდნენ. ისინი შეხვედრის სრულფასოვანი წევრები იყვნენ. აფხაზების მხრიდან მთავრის ტოპონიმიკის დაბრუნება, ქართველებიც პრინციპული წინააღმდეგნი არ წასულან, მაგრამ, ამავე დროს, მიიჩნევდნენ, რომ არ უნდა აღედგინათ „რამდენიმე თათრული და თურქული“⁵⁰ ტოპონიმი.⁵¹ თბილისიდან ჩასულმა პარტიულმა ფუნქციონერებმა ზომიერი პოზიცია დაიკავეს, ისინი ერთი მხრივ გამოხდნენ ბერძენიშვილის სტატიის გამოქვეყნებას, რომელიც არ იყო მიზანშეწონილი, თუმცა მიაჩნდათ, რომ სტატია არ შეიცავდა შეურაცხყოფას აფხაზების მიმართ. მსგავსი დაძაბულობის შექმნას კი დიდ შეცდომად მიიჩნევდნენ.

დადანაშაულების ადრესატი აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ხდება, რომელმაც ვერ მოახერხა სიტუაციის დამშვიდება. პროტესტში განსაკუთრებით აქტიურობდნენ შეხვედრებისა და დემონსტრაციების ორგანიზატორები, რომლებიც ძირითადად სამეცნიერო და კულტურული საზოგადოებების წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა ქმედებას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია ხელისუფალთა მხრიდან. განსაკუთრებით აქტიურობდა ბიუროს წევრი, როდიონოვი, რომელიც წინააღმდეგი წავიდა, რომ სრული პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომების რედაქტორი ლომინაძისათვის. ის მიიჩნევდა, რომ ვილაცები ხელოვნურად დაბავდნენ სიტუაციას. ამბობდა, რომ ბერძენიშვილის ნაშრომში აფხაზების შეურაცხმყოფელი არაფერია, პირიქით, აქ იყო ადგილები, რითაც აფხაზებს შეეძლოთ ეამაყათ.

48 სშსსა II ფ. 14, აღწ. 42, ს. 65, ფურც. 14.

49 სშსსა II ფ. 14, აღწ. 42, ს. 65, ფურც. 3.

50 სშსსა II ფ. 14, აღწ. 42, ს. 65, ფურც. 5.

51 ამ მოვლენების შემდეგ შეცვლილი ტოპონიმების სახელები: სოფელ ნაკადულს დაერქვა მენადირი, სოფელ ნედზონას სოფელი ხიზარუხა, სოფელ თხილოვანს -არასარა, ზამბუკოვანს აკალამარა, სოფელ გიორგიწმინდას – არსაული. სოფელ შუამთას სოფელი ჩირიუტა

ბოლო სიტყვა მაინც მუავანაძეს ეკუთვნის, რომელიც ცდილობს სიტუაციაში გარკვევას. ის ამბობს, რომ აფხაზეთში არიან ადამიანები, რომლებიც მცირედი მიზეზითაც ყოველთვის ამღვრევენ წყალს, აფხაზურ პარტიულ მუშაკებს მიუთითებს, რომ მათი ვალია, მსგავს შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირება მოახდინონ. უფრო მეტიც, მუავანაძე ცდილობს, არ ჩაერიოს აფხაზეთში გადაწყვეტილების მიღებაში: „ჩვენ გადაწყვეტილებას არ ვიღებთ, ჩვენ მხოლოდ განხილვით შემოვიფარგლებით.“⁵² ამ მოვლენებით აფხაზეთში სიტუაცია დროებით დაწყნარდა.

ნინო ქემოკლიძის მოსაზრებით, 1956 წლის დესტალინიზაციის შემდეგ აფხაზებს მიეცათ შესაძლებლობები. 25-წლიანი პროტესტის შემდეგ დათმობები თბილისიდან და მოსკოვიდან ნიშნავდა იმას, რომ „ქართველიზაციის“ პოლიტიკა აფხაზეთში შეტრიალდა „აფხაზიანიზაციის“ პოლიტიკად 1970-იან და 1980-ან წლებში, რომელიც ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაში დაუცველობის შეგრძნებას იწვევდა (Kemoklidze 2016, 251).

ისტორია, ისტორიული დებატები და კონფლიქტი ისტორიის ინტერპრეტაციის შესახებ საბჭოთა კავშირში გახდა ეთნიკური მობილიზაციისათვის საჭირო იდეოლოგია. ისტორიკოსების, ლინგვისტების, არქეოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მიერ არტიკულირებული დებატები მარტივად იქნა გადატანილი პოლიტიკურ სცენაზე, რომ ისტორიული სამართლიანობისათვის გამართულ დისკუსიას მოერგო ახალი ფორმა და ახალი სოციალური როლი (Cheterian 2009, 36), სასკოლო რეფორმამ უზიძგა და ხელი შეუწყო ახალი ტიპის ინტელიგენციის ჩამოყალიბებას აფხაზეთში. თბილისში გამოცემული ნაშრომის ავტორები ხშირ შემთხვევაში ძველი თაობის მეცნიერები იყვნენ (ნიკო ბერძენიშვილი, პავლე ინგოროყვა), აფხაზეთში კი „ისტორიული ჭეშმარიტების“ დაცვას ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობა ცდილობს. ქართველებიც და აფხაზებიც, ორივე ეთნოსი იზიარებს კონცეფციას, რომ აფხაზეთი მათი სამშობლოა. ქართული პერსპექტივით, ის საქართველოს განუყოფელი ნაწილია (Coppieters 2002, 104). თუმცა რომელი ეთნოსი ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე მუდმივად და თუ ვის ეკუთვნის ტიტულარული ერის პრივილეგიები, კონფლიქტის მიზეზი ხდება. ამის ლეგიტიმაცია კი ისტორიის კონტროლით ხდება. ლავრენტი ბერიას მიერ რადიკალურად შეცვლილი ურთიერთობების ფორმა ცენტრსა და პერიფერიას შორის ისტორიულ დისკურსში აისახება. ამიტომაც, 1953 წლის შემდგომ პერიოდში ნაციონალური დისკურსის მთავარი პირები არა პარტიული მუშაკები, არამედ მეცნიერები არიან. პარტია ცდილობს ისტორიული მეცნიერებისა და ნაციონალური გრძნობების კონტროლს, მაგრამ უშედეგოდ. თბილისის ინტელიგენციისათვის ბერიას მიერ განხორციელებული პოლიტიკა მისაღები იყო და ცვლილებების აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. ამიტომაც, აფხაზური ნაციონალიზმი ყალიბდება როგორც პასუხი ქართულ ნაციონალიზმზე და მცდელობა ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის შეცვლისა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, დიმიტრი. 1889. *ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკ. დასასრულამდე)*. ტფილისი: „სტამბა ე.გ მესხისა“

52 სშსსა II ფ. 14, აღწ. 42, ს. 65, ფურც.

- ბერძენიშვილი, ნიკო. 1998. სტუმრად სტალინთან. *ცისკარი*, no. 1-2: 97-110. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/26066/1/Stumrad_Stalintan.pdf (01.12.2020)
- ინგოროყვა, პავლე. 1918. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. მოკლე სამახსოვრო ცნობა. კონსტანტინეპოლი: კათოლიკე ქართველთა სავანის სტ.
- ინგოროყვა, პავლე. 1954. *გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან*. თბილისი: საბჭ. მწერალი
- იუნგე, მარკ, ბერნდ ბონვიჩი და დანიელ მიულერი. 2005. *ეთნოსი და ტერორი საქართველოში*. თბილისი: ინტელექტი
- მელიქიშვილი, გიორგი. “ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის.” თბილისში წაკითხული ლექცია. თბილისი: საქ. მეც კად. სტამბა. 1953
- ჩარკვიანი, კანდიდ. 2015. *სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები*. თბილისი: არტანუჯი
- ჯავახიშვილი, ივანე, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. 1943. *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე*. თბილისი: საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
- ჯანელიძე, ოთარ. 2014. *პოსტსაბჭოთა სინამდვილის ორი დისკურსი: წარსულის პოლიტიზება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია*. თბილისი: მწიგნობარი
- Blauvelt, Timothy K. 2014. The Establishment of Soviet Power in Abkhazia: Ethnicity, Contestation and Clientelism in the Revolutionary Periphery. *Revolutionary Russia*, no. 27(1): 22-46
- Bruno Coppieters. “In Defence of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict,” in *Secession, History and the Social Sciences*, ed. Bruno Coppieters and Michel Huysseune (Brussels: Brussels University Press, 2002) 89-116
- Cheterian, Vicken. 2009. *War and Peace in the Caucasus. Russia's Troubled Frontiers*. London: Hurst Publishers
- Nino Kemoklidze, “Georgian-Abkhaz Relations in the Post-Stalinist Era,” in *Georgia after Stalin: Nationalism and Soviet Power*, ed. Timothy K. Blauvelt and Jeremy Smith (London and New York: Routledge, 2016) 129-145
- Аббас-Оглы, Адила. 2005. *Не могу забыть*. Москва: АСТ
- Гулия, Дмитрий. 1925. *История Абхазии. Т 1*. Тифлис: Издание Наркомпроса С.С.Р. Абхазии
- Делба, Михаил. 1937. *Основатель Абхазской литературы Дмитрий Гулия*. Сухуми: Издание ИАК АН СССР
- Гулия, Дмитрий. 2006. *О моей книге „История Абхазии“*. Тбилиси
- Дзидзария, Г. А. 2006. *Труды III Из неопубликованного наследия*. Сухум
- Рихтер, Зинаида. 1924. *Кавказ наших дней 1923-1924*. Москва: Жизнь и знание
- Анчабадзе, Ю.Д. И Лакоба, С.З. (Сост.). 2002. *Абхазский архив. XX век. Выпуск 1*. http://www.hrono.ru/libris/lib_a/aarhiv00.php (01.12.2020)
- Лежава. Г. П. 1997. *Между Грузией и Россией. Исторические корни и современные факторы Абхазо-Грузинского Конфликта (XIX-XX вв)*. Москва: Российская Академия Наук. Центр по изучению межнациональных отношений института этнологии и Антропологии
- Орнянский, А. А. И Фадеев, А.В. 1930. *Советская Абхазия. Путеводитель по Абхазию. „Экскурсионное Бюро при Главполитпросвете А.С.С.Р. Абхазии“*, Сухум.
- Шнирельман, В.А. 2003. *Войны Памяти. Мифы, идентичность и политика в Закавказье*. Москва: АКАДЕМКНИГА